ქეთევან გრძელიძე

პავოლ იოზეფ შაფარიკის უნივერსიტეტი კოშიცეში, სლოვაკეთი

კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი, ქეთევან გრძელიძე 20-24 აპრილს, იმყოფებოდა პავლ იოზეფ შაფარიკის უნივერსიტეტში, სლოვაკეთი, Erasmus+-ის აკადემიური პერსონალის მობილობის პროგრამის ფარგლებში. ვიზიტი ითვალისწინებდა შეხვედრებს მასპინძელი უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალთან და ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის განკუთვნილ სალექციო კურსს ინგლისური რომანტიზმის პოეზიისა და თეორიის შესახებ.

აკადემიურ პერსონალთან შეხვედრები დაეთმო პროგრამის დახვეწა-გამრავალფეროვნების საშუალებებს, სწავლებისა და ცოდნის შეფასების მეთოდების გაუმჯობესებას, ჰუმანიტარული მეცნიერებების დარგსა თუ თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ გამოწვევებს, გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივებს.